

**საიას სარჩელის საფუძველზე საკონსტიტუციო
სასამართლომ გააუქმა ნორმა, რომელიც 65 წლის
ასაკს მიღწეულ პირს უკრძალავდა სახელმწიფო
უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის
დაკავებას**

**საიას სარჩელის საფუძველზე
საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა
ნორმა, რომელიც 65 წლის ასაკს
მიღწეულ პირს უკრძალავდა სახელმწიფო
უნივერსიტეტში აკადემიური
თანამდებობის დაკავებას**

დღეს, საკონსტიტუციო სასამართლომ გამოაცხადა განჩინება საქმეზე **Д[] [] [] [] []** გოროშიძე და ინდიკო აბაშიძე საქართველოს პარლამენტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წინააღმდეგ. **საკონსტიტუციო სასამართლომ გამარტივებული წესით, საქმის არსებით განხილვაზე, დააკმაყოფილა სარჩელი და არაკონსტიტუციურად სცნო ნორმა, რომელიც ითვალისწინებდა 65 წლის ასაკიდან პირის გათავისუფლებას აკადემიური**

[illegible]

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 65 წლის ასაკის მიღწევასა ადამიანის იძულება გადადგეს აკადემიური თანამდებობიდან ან არ დაიკავოს აღნიშნული თანამდებობა, არის ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია. ამგვარი დისკრიმინაცია აკრძალულია საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით. 65 წლის ასაკს მიღწეული პირი არ კარგავს იმ ინტელექტუალურ უნარებს, რაც აუცილებელია პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის და ასისტენტის მოვალეობის შესასრულებლად. სწორედ ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებით აღნიშნული პოზიციების დასაკავებლად სახელმწიფო უნივერსიტეტებში ასაკობრივი შეზღუდვა აღარ არსებობს.

ამ საქმეს საია „ღია საზოგადოების ფონდის“ მიერ დაფინანსებული პროექტის - „ხანდაზმულთა უფლებების დაცვა და ხელშეწყობა“ თარგვლებში აწარმოებდა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის N2/2/863 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - გუჩა კვარაცხელია, გივი ცინცაძე, გიორგი თავაძე, ელიზბარ ჯაველიძე და სხვები (17 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.